

დამტკიცებულია:

„აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“
გამგეობის 2016 წლის 10 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით

სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტი

დებულება

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (შემდგომ „ფედერაცია“) წესდების მე-10 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მიზანმიმართულია ფედერაციის საწესდებო მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად;

2. წინამდებარე დებულება არეგულირებს ფედერაციის სტრუქტურული დანაყოფის „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტის“ სტრუქტურული მოწყობის და ფუნქციონირების საკითხებს;

3. დებულების განხილვა, დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე მისი გაუქმება წარმოადგენს ფედერაციის გამგეობის კომპეტენციას;

მუხლი 2. „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტის“

მიზნები და ამოცანები

1. „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტის“ მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ბასს), ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ასს), ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების და სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროთი დაინტერესებულ ფედერაციის წევრთათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა თეორიული სწავლების, კონსულტირების, განმარტებების მიცემის, აზრთა გაცვლა–

გაზიარების, დისკუსიების და ა.შ ორგანიზების გზით, აგრეთვე მათი კანონიერი პროფესიული ინტერესების დაცვის ღონისძიებათა ორგანიზება/განხორციელება;

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტი“ ახორციელებს:

ა) ქმედებათა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;

ბ) სხვადასხვა სახის ინიციატიური პროექტების შემუშავებას, დანერგვას;

გ) მეთოდოლოგიის შემუშავებას, ტექნოლოგიების დანერგვას;

დ) ფედერაციის დაინტერესებულ წევრთათვის ფედერაციის საწესდებო მიზნის მისაღწევად საჭირო პროცესების ორგანიზებას;

ე) მეთოდური სახელმძღვანელოების, საცნობარო, განმარტებითი, სარეკომენდაციო და ა.შ., სხვადასხვა სახის მასალების შესწავლას, მომზადებას და გამოცემას, როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

ვ) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო/სასწავლო ცენტრებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პროექტებთან და აკადემიურ წრეებთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას;

ზ) ბიზნესის სფეროს წამომადგენლებთან, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებას, და ამ მიზნით სხვადასხვა სახის ფინანსური, ბიზნეს და საზოგადოებრივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარების გაწევას.

3. დასახული მიზნის მისაღწევად „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტის“ სამოქმედო მიმართულებებია:

ა) ბასს, ფასს და ასს, ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი, მოსაზრებების შემუშავება, კონსულტირება, ურთიერთგაზიარების პროცესის ორგანიზება;

ბ) მიზნობრივი პროექტების განხორციელების პროცესში ტრენერთა შერჩევის, ტრენინგის ექსპერტებისა და ტრენერ-ინსტრუქტორების სამუშაო პროცესების ორგანიზება;

გ) პრაქტიკაში გამოსაყენებელი, განმარტებითი ხასიათის პროექტების, მასალების, მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება და ფედერაციის დაინტერესებულ წევრთათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) მიზნობრივი დისკუსიების, თემატური სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების და სხვა მიზნობრივი პროგრამების/პროექტების ორგანიზება და განხორციელება;

ე) მიზნობრივი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, ხარისხობრივი კონტროლის განხორციელება, ამასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება და ანგარიშების მომზადება;

ვ) მიზნობრივი პროფილის მქონე საგანმანათლებლო/სასწავლო დაწესებულებებთან, ცენტრებთან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პროექტებთან და აკადემიურ წრეებთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან და პირებთან კონტაქტის უზრუნველყოფა, მათი პრაქტიკის ანალიზი;

ზ) საერთაშორისო ორგანიზაციების, პროექტების, დონორი ორგანიზაციების, დახმარების პროგრამების, სწავლებების, სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ფედერაციის დაინტერესებულ წევრთათვის ტექნიკური და ფინანსური დახმარებების კოორდინაცია;

თ) ფედერაციის ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება;

მუხლი 3. „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტის“

მმართველობითი სტრუქტურა

1. „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტს“ (შემდგომ „კომიტეტი“) ხელმძღვანელობს გამგეობის გადაწყვეტილებით არჩეული გამგეობის წევრი, რომელიც ანგარიშვალდებულია გამგეობის სხდომის წინაშე;

2. კომიტეტის ხელმძღვანელი ადგენს ყოვეთვიურ სამოქმედო გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის სხდომას. გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში განიხილება გამგეობის სხდომის მიერ.

3. „სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტს“ გააჩნია ორი ქვესტრუქტურული დანაყოფი: სტანდარტების ქვეკომიტეტი და პრაქტიკის ქვეკომიტეტი;

4. სტანდარტების ქვეკომიტეტის ფუნქციას განეკუთვნება საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე ბასს, ფასს, ასს და ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების რეგულაცია, კოორდინირება, დასახული ამოცანების შესრულება;

5. სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ფედერაციის საწესდებო მიზნის შესრულებას, აგრეთვე ფედერაციის წევრთა კანონიერი პროფესიული ინტერესების დაცვის ღონისძიებათა ორგანიზება / განხორციელებას კურირებს პრაქტიკის ქვეკომიტეტის ხელმძღვანელი.

6. ქვესტრუქტურულ დანაყოფებს ხელმძღვანელობენ კომიტეტის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი და გამგეობის გადაწყვეტილებით დამტკიცებული პირები;

7. ქვესტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელთა წარდგინებით, კომიტეტის ხელმძღვანელი ითანხმებს მიზნობრივი ამოცანების შესასრულებელ ღონისძიებათა განმახორციელებელ პირებს: ტრენერებს, ექსპერტებს, ინსტრუქტორებს, კონსულტანტებს, ტექნიკურ პერსონალს. კომიტეტის ხელმძღვანელის შეთანხმების ლეგიტიმაციისათვის საჭიროა გამგეობის გადაწყვეტილება;